ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6340469

ნომერი: AR1949031

თარიღი : 10.02.2023

გაცემის თარიღი : 23.02.2023

გაცნობის თარიღი : 23.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6310525 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 10 თებერვალს №AR1949031 განცხადებით მომართა ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 02

თებერვლის №6310525 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და თითოეული ბლოკების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ცალ-ცალკე დაფიქსირება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6310525 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.14.003.187) შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ამასთან სამსახურში ფიქსირდება 2023 წლის 02 თებერვლის №AR1947539 განცხადება, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6310525 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ბრძანებაში, თითოეული საპროექტო ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის გეგმა-ნახაზები და დაყოფილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და თითოეული საპროექტო ბლოკისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირება შესაძლებელია. აგრეთვე, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882023004758, მომზადების თარიღი: 18/01/2023 წ.) თანახმად №01.17.14.003.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „ორთაჭალა გეითი” (ს/ნ: 405536978). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22065886, მომზადების თარიღი: 31/05/2022 წ.) თანახმად, შპს „ორთაჭალა გეითი”-ს (ს/ნ: 405536978) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს იმედა მუმლაძე (პ/ნ: 47001015116). სამსახურში წარმოდგენილია შპს „ორთაჭალა გეითი”-ს (ს/ნ: 405536978) დირექტორის იმედა მუმლაძის მიერ ზაზა ბასილაძის სახელზე გაცემული 2023 წლის 16 იანვრის №230045837 მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6310525 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:
„ა“ ბლოკი:
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 11888.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ): 18840.4
- საერთო ფართობი (კვ.მ): 17184.7
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 11128.0
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 398.2
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 1581.4
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 2186.4
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 361.4
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 1529.3
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 54258.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 45554.0
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 8704.0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 39.45
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 34.65
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 4.80
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 1610.4 კვ.მ.
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 15090.835 კვ.მ.

„ბ“ ბლოკი:

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 11888.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ): 18894.1
- საერთო ფართობი (კვ.მ): 17232.7
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 11128.3
- კომერციული ფართობი (კვ.მ): 398.2
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 1580.0
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 2186.4
- დამხმარე ფართობი (კვ.მ): 367.1
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 1572.7
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 54358.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 45438.0
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 8920.0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 39.45
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 34.65
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 4.80
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 1610.4 კვ.მ.
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 15090.835 კვ.მ.

„ა“ და „ბ“ ბლოკების კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 3220.8 კვ.მ. / 11888.0 კვ.მ. = 0.3, კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 30181.67 კვ.მ. / 11888.0 კვ.მ. = 2.5, კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 3566.8 კვ.მ. / 11888 კვ.მ.=0.3.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6310525 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6310525 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6310525 ბრძანებასთან ერთად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.